603/

ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

2 მაისი, ხუთშაბათი, 1991 წ.
№ 79 (10492) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

შეიქმნა დაზარალებულთა დახმარების ფონდი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ სტიქიით დაზარალებული ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით შექმნა სპეციალური ფონდი წარმოება-დაწესებულებების, ორგანიზაციების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ცალკეული მოქალაქეებისაგან შემოსული თანხების აკუმულაციისათვის.

საქართველოს ბინსოცბანკს, საქართველოს აგრომრეწვბანკს, საქართველოს მრეწვმშენბანკს, საქართველოს შემნახველ ბანკს დაევალათ გახსნან შესაბამისი ანგარიშები დაქვემდებარებულ დაწესებულებებში შემოსული თანხების ჩასარიცხად, ხოლო ამ ანგარიშებზე არსებული ნაშთები ყოველდღიურად გადარიცხონ საქართველოს ბინსოცბანკის საოპერაციო სამმართველოში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე № 001700272.

საქართველოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ბანკს დაევალა გახსნას სპეციალური სავალუტო ანგარიში № 70000028, რომელზეც ჩაირიცხება უცხოური ვალუტით დახმარების მიზნით შემოსული სახსრები.

სპეციალურ ანგარიშზე შემოსული [illegible] საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს შუამდგომლობის საფუძველზე.

საქინფორმი.

- „ლელოს" რედაქციის თანამშრომელთა გადაწყვეტილებით მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების ფონდში გაზეთის ორი ნომრის ჰონორარი გადაირიცხება.
- თბილისის კრწანისის რაიონის სპორტკომიტეტმა მიწისძვრის შედეგად სტიქიით დაზარალებულთა დახმარების ფონდში შეიტანა 600 მანეთი.

შემთავრესია ერის ჯანმრთელობა და ამ საქმისთვის არაფერი დავიშუროთ

ამთავითვე, საწყის ორგანიზაციულ-სათათბირო ეტაპზეც კი, ნათელია, რომ ეს მასობრივი გარბენი, რომელიც 25 მაისს უნდა მოეწყოს თბილისში, დღემდე გამართულთ ყველაფრით „აჯობებს"— რანგით, პრესტიჟულობით, მონაწილეთა რაოდენობით და ასაკობრივი „მრავალფეროვნებით", „პროფესიული დონით", საპრიზო ფონდით... არც არის გასაკვირი— გარბენი ხომ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღეს ეძღვნება.

ნებისმიერი შეჯიბრება თაოსნებით იცნობა, მათი ავტორიტეტულობა კი თავისთავად განაპირობებს ასპარეზობის რანგს, პრესტიჟს და... გულუხვ საპრიზო ფონდს. ამჯერად, რომ იტყვიან, ყველაფერი წესრიგშია — საქართველოს სპორტის დეპარტამენტში უკვე გაიმართა გარბენის საორგანიზაციო კომიტეტის პირველი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა დეპარტამენტის დირექტორი კ. ასათიანი. შეკრებილებმა, ცხადია, იმსჯელეს ბევრ, წვრილმან თუ მსხვილმან საკითხზე, რომელთა „მოცულობა" უფლებას გვაძლევს განვაცხადოთ — ეს იქნება ერთობ საინტერესო სპორტული ღონისძიება, ისეთი, ეროვნულ ზეიმს რომ შეფერება. რად ღირს თუნდაც მთავარი პრიზი—მსუბუქი ავტომანქანა, რომელიც ვეტერანთა შორის საუკეთესოს გადაეცემა. რა თქმა უნდა, დაწესებულია სხვა მრავალი ძვირფასი პრიზი და ფულადი ჯილდო.

სხვა რომ არა, ეს გულუხვობაც ცხადყოფს ორგანიზატორთა მისწრაფებას, შეჯიბრების მიზანს: დავისახოთ უმთავრეს საზრუნავად ერის ჯანმრთელობა და ამ საქმისთვის არაფერი დავიშუროთ!

◆ ◆ ◆

მაგნიტური დღეები

2, 14, 15, 20, 28 მაისს მაგნიტური დღეებია. იყავით ფრთხილად!

◆ ◆ ◆

რეპორტაჟი სტიქიური უბედურების ზონიდან

ბუნება რაღას გვერჩოდა...

არ მეგულება საქართველოში კუთხე, სადაც ისეთი ლამაზი იყოს გაზაფხული, როგორც ზემო იმერეთში: კოპწია ქუჩებს, შუკებს, ეზოებს რაღაც სხვაგვარი, ენით აუწერელი საზეიმო ელფერი დაჰკრავთ ხოლმე. შემთხვევითი არ არის, რომ კუთვნილ შვებულებას ის ადამიანები, რომლებიც მოცილებულნი არიან თავის მშობლიურ კუთხეს, სწორედ ამ პერიოდში იღებენ, რადგან უამრავ სამუშაოსთან ერთად, რომელიც გაზაფხულზეა, კიდევ ერთხელ მოიხიბლნონ ამ პირველყოფილი სილამაზით.

დღეს კი ზემო იმერეთში გლოვაა, სტიქიამ მიწასთან გაასწორა რამდენიმე სოფელი. საშინელი სიტუაციაა საჩხერეშიც. მიწისძვრიდან რამდენიმე საათის შემდეგ უამრავი მანქანა გაემართა ამ რაიონისკენ: ახლობლებს, მეგობრებს, ნათესავებს უპირველეს ყოვლისა ამოძრავებდათ, ცოცხალი დახვედროდათ მოკეთენი, რათა ერთად შესჭიდებოდნენ ბუნების გაუგებარ სისასტიკეს.

საჩხერეში გამთენიისას ჩავედით, ქალაქის ცენტრში ზღვა ხალხს მოეყარა თავი. მათ გამეხებულ სახეებზე შიშის გარდა ყველაფერს ამოიკითხავდი კაცი. იმედი იმან თუ განგვიმტკიცა, რომ ჩვენი ერი ამ უბედურებასაც კაცურად დახვდა და თავისი მხრებით კიდევ ერთხელ გადაიტანს გასაჭირს. გადასატანი და გასაკეთებელი კი, სამწუხაროდ, ძალიან ბევრია.

ყველაზე მოუცლელი, რაღა თქმა უნდა, ამ დღეებში რაიონის პრეფექტი ბესიკ ქუთათელაძე გახლავთ. დანახვისთანავე ჩვენკენ გამოემართა და რამდენიმე სიტყვით მოგვითხრო რაიონში არსებული საგანგაშო სიტუაციის შესახებ. თქვენც კარგად ხედავთ, რა დღეშიცა ვართო. რამდენიმე სოფელი მთლიანად აღიგავა პირისაგან მიწისა, საჩხერეში არც ერთი სახლი საცხოვრებლად აღარ ივარგებს. სტიქიამ საშინელი ზარალი მიაყენა ისედაც ღარიბ, ეკონომიკურად ჩამორჩენილ ჩვენს რაიონს. მის სალიკვიდაციოდ, ალბათ, ათობით წლები დაგვჭირდება. იმედს კი არ დავკარგავთ, რადგან მჯერა ჩემი ხალხისა და იმ თანადგომისა, რომელსაც უბედურების პირველი საათებიდანვე ვგრძნობთ.

ჩვენც გვჯერა, ბატონო ბესიკ, გვჯერა შენი მართალი კაცობისა.

კარგად გვახსოვს, ამ რამდენიმე წლის წინ, როდესაც რაიონის სპორტკომპლექსის დირექტორად მუშაობდით, როგორ მოახერხეთ მარტო კაცმა აგეშენებინათ ორსართულიანი ჩინებული სპორტული დარბაზი კალათბურთის მოედნით, ორი საჭიდაო ოთახით, მშვენიერი საუნით, რომელიც ნებისმიერ დიდ ქალაქს შეშურდებოდა. როგორ ელოდებოდით გამთენიისას მატარებლის ჩამოდგომას და როგორ ტვირთავდით საკუთარი მხრებით წლობით ნალოდინებ სპორტულ ინვენტარსა თუ სამშენებლო მასალას. გვახსოვს, თქვენი ინიციატივით, როგორ ჩამოაყალიბეთ საჩხერეში რესპუბლიკაში პირველი ეროვნული გვარდია, რომელსაც მტერი და მოყვარე ირონიით შეხვდა, დღეს კი ყველა იმედის თვალით შეჰყურებს მას, როგორ მოუწოდებდით წვევამდელებს არ გაჰკარებოდნენ რუსის ჯარს და სამხედრო სავალდებულო სამსახური თავის ქვეყანაში მოეხადათ, როგორ ამაგრებდით საკუთარ საზღვრებს თქვენი ბიჭებით ოსი ექსტრემისტების შემოსევებისაგან დასაცავად. ყველამ კარგად იცის, რომ ამ რეგიონში ყოველთვის გამორჩეული სიწყნარე გახლდათ. დღეს ორმაგად მეტი გაქვთ გასაკეთებელი, დარწმუნებულნი ვართ თქვენი თანამზრახველების თანადგომით თქვენ ამასაც კაცურად შეძლებთ, გვეამაყება, რომ ძველი სპორტსმენი ბრძანდებით და იცით, გამარჯვება იოლად არ მოდის.

29 აპრილს ტელევიზიამ თხოვნით მიმართა რესპუბლიკაში მყოფ ყველა ალპინისტს დახმარებოდნენ დაზარალებულთ. მათაც შესაშური ოპერატიულობით შეძლეს მობილიზება და რამდენიმე საათში ავტობუსებითა თუ საკუთარი ავტომანქანებით უკვე სტიქიური უბედურების ზონაში დაგვხვდნენ. მათთან ერთად გავემართეთ თბილისიდან ჟურნალისტთა ერთი ჯგუფი რაიონში ყველაზე ცხელი წერტილისკენ — სოფელ ხახნიეთისკენ. ჩვენთან ერთად იმგზავრა, აგრეთვე, რამდენიმე უცხოელმა ჟურნალისტმა, რომლებმაც კიდევ ერთხელ გაგვაოცეს თავიანთი ოპერატიულობით და პროფესიის უზომო სიყვარულით, ალბათ ისინი ყველაფერს იღონებენ, რათა ზუსტად და დროულად ამცნონ მსოფლიოს დატრიალებული უბედურების შესახებ.

რაც ვნახეთ, ამის გადმოცემას არ შევუდგები, რადგანაც როგორც უნდა მოვინდომო, მკითხველს სრულ სურათს მაინც ვერ დავუხატავ. ვიტყვი ერთს, რომ მსგავსი საშინელება არც კინოში და არც სიზმარში არ მინახავს. რამდენიმე მეტრის სიმაღლის მთა გადამხობია სოფელს და შთაუნთქავს იგი. დაზარალებულთა ძებნა უაზრობა იქნებოდა, რადგან იმ 20 ოჯახიდან, რომლებიც იქ ცხოვრობდნენ, ნიშანწყალიც არ იყო დარჩენილი. რამდენიმე მეტრის იქით კი ორი უშველებელი მთა მიწისძვრის შემდეგ „გადახვეოდა" ერთმანეთს, ჩაეხერგა მდინარე და დაგროვილი წყალი კიდევ უფრო შემზარავს ხდიდა იქაურობას, წყალი ახალ უბედურებას შექმნიდა, თუ გადმოხეთქავდა. მერე ვიღაცამ ამბავი მოიტანა, წყალმა გასავალი ნახაო და დაძაბულობა ოდნავ განიმუხტა. მიუხედავად ამისა, მოსახლეობა მაინც ტოვებდა კარ-მიდამოს, რადგან მიწა ისე ავისმომასწავებლად ღმუოდა, იქ გაჩერებას უარესი ამბავი შეიძლება გამოეწვია. მოსახლეობა ტოვებდა კარ-მიდამოს და რაიონული ცენტრისკენ მიემგზავრებოდა.

ამ საზარელი ადგილის სანახავად არ წყდებოდა მნახველთა ნაკადი. ჩვენი მეგზური ჭაბუკა ჭილაძე რის ვაი-ვაგლახით უმტკიცებდა სტუმრებს, რომ იქ ყოფნა სახიფათო იყო, მაგრამ უმეტესი ნაწილი დაჟინებით მიიკვლევდა გზას ნასოფლარის დასახედად. გავესაუბრეთ რამდენიმე მხცოვან ადამიანს. აი, რა მოგვითხრეს მათ. „ჩვენი მამა-პაპანი საუკუნეების წინაც აქ ცხოვრობდნენ. ამის მსგავსი რამ ადრეც რომ ყოფილიყო, საშველიშვილოდ არ დავსახლდებოდით. მცირე მიწისძვრები კი ყოველვის იყო და მერწმუნეთ, მის მოახლოვებას საქონლისა და ძაღლების ქცევით ვგრძნობდით. პირუტყვი, როგორც ხედავთ, არც ახლა გვაკლია, მაგრამ არავითარი რეაქცია მათ არ ჰქონიათ. ეს ამბავი რომ მოხდა, სწორედ ხარებს ვაძოვებდი. რაიმე უცხო მათ ქცევაში არ შემიმჩნევია. რა იყო, რა ღვთის რისხვა დაგვატყდა, ახლაც ვერ მოვსულვარ გონს. ფესვებიდან ამოგლეჯილი ხეები წინ მოფრინავდნენ, უკან კი ქვა-ღორღი მოჰყვებოდა და ასამარებდა ყველაფერს, რაც გზად ხვდებოდა".

რამდენიმე საათში უკან, საჩხერეში, დავბრუნდით, პირველი, რაც გზად შემოგვხვდა, პურის მანქანა იყო. როდესაც გაზეთ სამშობლოს რედაქტორმა პაატა ნაცვლიშვილმა ჯიბიდან ფული ამოიღო პურის საყიდლად, მანქანის ძარაზე მყოფმა გამყიდველმა მიაძახა „ზემლიაკ, ფული ჯიბეში ჩაიდე და რიგში ისე დადექიო". სომხეთიდან ჩამოსული რამდენიმე მანქანა რაიონის სხვადასხვა კუთხეში უსასყიდლოდ არიგებდა მოსახლეობისთვის პურს.

საჩხერეს ყოველ წუთს ემატებოდა ხალხი. მოდიოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, რათა მოკრძალებული წვლილი შეეტანათ გასაჭირში ჩავარდნილთა დახმარებაში. ამის შემხედვარეებმა ოდნავ გულდამშვიდებულებმა დავტოვეთ გაპარტახებული რაიონი. ვის, თუ არა ქართველებს, შეგვიძლია თანადგომა, მხარდაჭერა და ურთიერთსიყვარულით დანგრეულის აღდგენა.

ზაზა კახაძე

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი.

პაატა ნაცვლიშვილის ფოტოები.

* * *

საქართველოს ღია ჩემპიონატი მკლავჭიდში

GEORGIAN OPEN ARM WRESTLING CHAMPIONSHIP

GAF

ამ ტურნირს უჩვეულო ინტერესით ელოდნენ სპორტის ქართველი გულშემატკივრები. მკლავჭიდი ხომ, სულ მცირე ხანია, რაც გავიცანით. ამიტომაც იყო ეს მოლოდინი მოუთმენელი. როგორც წინასწარი მონაცემებით გახდა ცნობილი, საქართველოს ღია ჩემპიონატზე უცხოეთის რამდენიმე ქვეყნის ნაკრები და ე. წ. საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების გუნდებიც უნდა გამოცხადებულიყვნენ, მათ შორის, რუსეთის ფედერაციისა, მაგრამ... შეჯიბრებაზე ვერ ჩამოვიდა ვერც ერთი ნაკრები. ამის მიზეზები კი მოსკოვშია საძიებელი. კერძოდ, საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის მოწვევით მოსკოვში ჩამოვიდნენ უცხოელთა დელეგაციები, რომლებიც თბილისში უნდა გამომგზავრებულიყვნენ. მაგრამ ცენტრის სპორტის ხელმძღვანელებმა ნაცადი ხერხებით შეძლეს სტუმრებისთვის იმგვარად დაეხატათ საქართველოს დღევანდელი ვითარება, რომ მათ თავადვე ეთქვათ უარი აქ ჩამოსვლაზე. თბილისში ტანკები დახროგინებენ, დღე და ღამე ქალაქში სროლაა, ტყვიამ კი სტუმარ-მასპინძლის გარჩევა არ იცისო, — ამცნეს სტუმრებს და, დამეთანხმებით, ასეთი „რკინისებური არგუმენტების" შემდეგ არც ერთი ჭკუათმყოფელი არ ჩამოვიდოდა სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად „ომგაჩაღებულ ქალაქში".

მოწვეული ქვეყნების ერთ ნაწილს მოსკოვიდანვე აუწყეს ის, რაც ზემოთ მოგახსენეთ, ამიტომ არაერთი ქვეყნის სპორტული დელეგაცია მოერიდა ზედმეტი დროისა და ფულის ხარჯვას და მათ არც კი გადმოულახავთ თავიანთი ქვეყნის საზღვრები.

რუსეთის ნაკრები კი, რომელიც გულდაგულ ემზადებოდა საქართველოს ღია ჩემპიონატისთვის, ძალდატანებით და შანტაჟით აიძულეს არ გამომგზავრებულიყო თბილისში. ამ ფაქტის შესახებ საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის წარმომადგენლებს აცნობეს კოლეგებმა რუსეთის ფედერაციიდან. მოკლედ, გულშემატკივრები ნაწილობრივ გაწბილებულნი დარჩნენ სამერმისოდ გადაიდო ოცნება —

გახდება ზაურ ცხადაძე მილიონერი?

იხ. მე-4 გვ.

ნონა — სპორტული დიდების გზები

სალო ფლორი წერდა: „შეიძლება ზოგიერთ მამაკაცს არ ესიამოვნა, როცა მსოფლიო ჩემპიონს დიდოსტატის წოდება მიაკუთვნეს. როგორ, ქალი და დიდოსტატი? გულახდილად ვაღიარებ: პირველად ამ მოსაზრებამ მეც გამკვრა. მაგრამ ცოტა რომ დავფიქრდეთ, უნდა ვაღიაროთ, რომ გადაწყვეტილება სავსებით სწორია. ნონა გაფრინდაშვილისთვის დიდოსტატის წოდების მინიჭება ხაზს უსვამს იმას, რომ იგი ექსტრაკლასის მოჭადრაკეა.

ნონა გაფრინდაშვილი პირველი მოჭადრაკე ქალია, რომელსაც დიდოსტატის წოდება მიეკუთვნა. როდის გაჩნდება მეორე დიდოსტატი? ამისათვის საჭიროა ორჯერ იყო პრეტენდენტი. ან, რაც უფრო ძნელია, მატჩში სძლიო მსოფლიო ჩემპიონს. შესაძლებელია ეს? ჩემი აზრით, გაფრინდაშვილის დამარცხება შეუძლებელია. შესაძლოა, ნონას მეტოქეებს მხოლოდ მაშინ მიეცეთ რაიმეს იმედი, როცა იგი... ბებია გახდება!"

ახლა კი ვნახოთ, რას ფიქრობდა ნანა ალექსანდრია მატჩის დამთავრების შემდეგ:

„რა თქმა უნდა, მატჩის შემდეგ ძალზე ვნერვიულობდი. წაგება ყოველთვის უსიამოვნოა, განსაკუთრებით ასეთი ანგარიშით... მინდა ვთქვა, რომ ნონამ სავსებით დამსახურებულად გაიმარჯვა. საერთოდ, მატჩი ჩემთვის წარუმატებლად დაიწყო. ნონამ თავიდანვე საგრძნობი მანძილით გამისწრო და მაინც იყო ზოგი განსაკუთრებით მძიმე მომენტი, რომლებმაც რამდენადმე გამტეხა. პირველი იყო გადადებული მეშვიდე პარტიის წაგება, რის შემდეგაც სხვაობა ანგარიშში ოთხ ქულამდე გაიზარდა. ამ წარუმატებლობას არ მოველოდი და სასოწარკვეთილებამ შემიპყრო. საბედნიეროდ, კიდევ იყო „ტაიმ-აუტის" აღების შესაძლებლობა. შესვენების შემდეგ საქმე არც ისე უიმედოდ მეჩვენა, განსაკუთრებით მერვე პარტიის შემდეგ, რომელსაც თავისუფლად ვთამაშობდი და მოვიგე. თუმცა ანგარიშში განსხვავება შთამბეჭდავი რჩებოდა — სამი ქულა, მე რატომღაც ვირწმუნე საკუთარი ძალა და ვიმედოვნებდი, რომ ჯერ ყველაფერი დაკარგული არ იყო. იქნებ იმიტომ, რომ ბრძოლის მსვლელობასა და ჩვენი პარტიების ხარისხში მე ასეთ დიდ სხვაობას ვერ ვგრძნობდი...

მე შევხვდი ძალიან ძლიერ ადამიანს და ჩემი ხასიათის სუსტი მხარეები მკაფიოდ გამოჩნდა. თითოეულ პარტიას ნონა თავიდან ბოლომდე ძალის თანაბარი დაძაბვით და მტკიცედ თამაშობდა. მე კი უკეთეს და განსაკუთრებით მოსაგებ პოზიციებში შესამჩნევად ვდუნდებოდი. ნონა ამას ძალიან მოხერხებულად იყენებდა, თვითონ კი მოსაგებ პოზიციაში არავითარ შანსს არ მიტოვებდა; წაგებულ პოზიციებში შეუპოვრად ეძებდა და მიაგნებდა კიდეც თუნდაც მცირეოდენ შესაძლებლობებსაც კი.

მატჩმა ცხადყო, აგრეთვე, რომ ნონა ჩემზე მაღლა დგას პარტიის წარმართვის კულტურით, თუ შეიძლება ასე ითქვას. მან იცის, როდის უნდა ჩაფიქრდეს და როდის დაზოგოს წამები."

კორესპონდენტის კითხვაზე, რა გავლენა მოახდინა ნანაზე იმ ამბავმა, რომ ის და ნონა წლების განმავლობაში ერთად იბრძვიან, ერთ გუნდში გამოდიან, ამ მატჩში კი ერთმანეთის მეტოქის როლშიც იხილეს, პრეტენდენტმა უპასუხა:

„ჩემი აზრით, ძლიერი ადამიანისთვის სულ ერთია, ვისთან ითამაშებს: მეგობართან თუ სხვასთან. დაფაზე იქმნება პოზიცია, საჭიროა პრობლემების გადაწყვეტა... მე საკუთარ თავს ძლიერ ადამიანებს არ მივაკუთვნებ. ალბათ ამიტომ იმათთან, ვისაც განსაკუთრებით პატივს ვცემ, ვისთანაც გულთბილი ურთიერთობა მაქვს, უარესად ვთამაშობ. ვფიქრობ, სწორედ ნონასთან კარგმა ურთიერთობამ დამიკარგა აუცილებელი სპორტული „სიძულვილი".

ახლა კი მოვუსმინოთ შეჯიბრების მთავარ არბიტრს, ცნობილ ჩეხოსლოვაკიელ დიდოსტატ მიროსლავ ფილიპს:

„ნონა გაფრინდაშვილმა სავსებით დამსახურებულად გაიმარჯვა. მისი წარმატების მთავარი ფაქტორებია: დიდი გამბედაობა, სიმშვიდე, გამძლეობა. ამასთან, ყველა ამ შესანიშნავ თვისებას ჭადრაკის დედოფალი ავლენდა ბრძოლის ყველაზე საპასუხისმგებლო, ყველაზე კრიტიკულ მომენტებში.

ვფიქრობ, ნონა გაფრინდაშვილის ახალ წარმატებაში დიდი როლი შეასრულა ვაჟთა ტურნირებში მისმა სისტემატურმა მონაწილეობამ. ამ შეჯიბრებებში მსოფლიო ჩემპიონმა შეიძინა დიდი გამოცდილება, რომელიც, ყოველ შემთხვევაში დღეს, ჯერ კიდევ აკლია პრეტენდენტს."

ამრიგად, ნონა გაფრინდაშვილი მსოფლიო ხუთგზის ჩემპიონია. დღეს შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ იგი უკვე 13 წელია შეუცვლელია საჭადრაკო ტახტზე და ასევე იქნება კიდევ უახლოეს სამ წელიწადს. მისი ესოდენ ხანგრძლივი „მეფობა", ჩემი აზრით, სავსებით დამსახურებულია. ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონი ყველაზე უფრო ბრწყინვალე ფიგურაა ქალთა ჭადრაკის ისტორიაში.

მაშ ასე, ხუთი გამარჯვება ხუთ მატჩში. ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო შემდეგი პრეტენდენტი? — ისევ ალექსანდრია, ლევიტინა, კუშნირი თუ სხვა ვინმე? როგორც მოგვიანებით გამოირკვა, არც ერთი, არც მეორე და არც მესამე! ეს უფლება 17 წლის მაია ჩიბურდანიძემ მოიპოვა, რომელმაც გზადაგზა ჯერ ნანა ალექსანდრიას სძლია, შემდეგ ელენე ახმილოვსკაიასა და ალა კუშნირს. რა თქმა უნდა, ახალი პრეტენდენტის ეს წარმატება სრულიად დამსახურებული იყო. მისი ბრწყინვალე ნიჭი უკვე რამდენიმე წელია აღიარა საჭადრაკო სამყარომ, ხოლო ტიგრან პეტროსიანმა მას „ქალთა ფიშერიც" კი უწოდა.

ნონა გაფრინდაშვილისა და მაია ჩიბურდანიძის მატჩი მსოფლიო პირველობაზე 1978 წლის აგვისტოში დაიწყო და ოქტომბერში დამთავრდა. იგი ბიჭვინთაში მიმდინარეობდა. რა შეიძლება ითქვას ამ ორთაბრძოლის შესახებ, რომელშიც უკვე მეორედ ორი ქართველი მოჭადრაკე ერთმანეთს ეცილებოდა მსოფლიოში უძლიერესის გვირგვინს? — უპირველეს ყოვლისა, ის, რომ არაფერია მუდმივი ამ ქვეყანაზე. ამდენი გამარჯვების შემდეგ, როცა 5 მატჩში თავიდან ბოლომდე ლიდერობდა და არც ერთხელ არ ყოფილა მდევრის როლში, ახლა ნონა პრობლემების წინაშე დადგა. მან შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ დათმო მატჩი (6,5:8,5) და პირველმა მიულოცა მსოფლიო ჩემპიონობა თავის ახალგაზრდა მეტოქეს. 16-წლიანი, განუწყვეტელი გამარჯვებების პერიოდი დამთავრდა, თუმცა, გასაგებია, ეს სრულიადაც არ მოასწავებდა საჭადრაკო მოღვაწეობისადმი წერტილის დასმას, ან მის შესუსტებას. მსოფლიო ჩემპიონები ადრეც დამარცხებულან, მაგრამ გაუგრძელებიათ, და ხშირად დიდი წარმატებითაც, თავიანთი სატურნირო თუ სამატჩო გამოსვლები.

ახლა კი სტატისტიკოსის თვალით გადავხედოთ ამ ექვს მატჩს მსოფლიო პირველობაზე. სულ გათამაშდა 80 პარტია. აქედან გაფრინდაშვილმა მოიგო 34 პარტია, წააგო 15 და 31 ყაიმით დაასრულა. რა თქმა უნდა, შესაშური შედეგია.

სიტყვას აღარ გავაგრძელებთ ნონას სხვა სპორტულ მიღწევებზე. იმაზე, რომ იგი ათჯერ იყო ოლიმპიური ჩემპიონი, ხუთჯერ — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ორჯერ — ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი, ვინ მოთვლის, რამდენჯერ — ქალთა საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული. მას შემდეგ, რაც ქალთა შორის „ოსკარის" ჯილდო შემოიღეს, პირველად იგი (1982 წელს) სწორედ ნონა გაფრინდაშვილს მიენიჭა და სრულიად დამსახურებულადაც.

ქალთა იმ უამრავი საერთაშორისო ტურნირიდან, რომელშიც ნონა მონაწილეობდა, მხოლოდ ერთის გახსენება გვსურს და ისიც იცით რატომ? ჩვენი აზრით, ესოდენ ძლიერი საერთაშორისო ტურნირი ქალთა შორის არასოდეს გამართულა. ეს იყო დიდოსტატების პაექრობა თბილისში 1984 წელს. საკმარისია აღინიშნოს, რომ 14 მონაწილეს შორის 11 ცნობილი საერთაშორისო დიდოსტატი იყო, სამი კი — საერთაშორისო ოსტატი, ბრძოლა პირველი ადგილისათვის, სპეციალისტების აზრით, უაღრესად მწვავე უნდა ყოფილიყო და ეს ვარაუდი გამართლდა კიდეც.

თქმა არ უნდა, ყველაზე უკეთ ეს უძნელესი შეჯიბრება ნონა გაფრინდაშვილმა წარმართა. იგი სრულიად უკომპრომისოდ თამაშობდა, ზოგჯერ კი, როგორც ყოველთვის სჩვეოდა, საკმაოდ რისკიანადაც. მართალია, ასეთმა ტაქტიკამ ექსჩემპიონს ორი დამარცხებაც მოუტანა, მაგრამ შვიდი გამარჯვებით საბოლოოდ ნონა მაინც პირველი იყო. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბრწყინვალე შედეგი ამ ტურნირის პრიზიორებთან: 3,5 ქულა ოთხიდან (მოგება იოსელიანთან, გურიელსა და ივანკასთან, ყაიმი ჩიბურდანიძესთან). ნონამ 13 შესაძლებლიდან 9 ქულა მოაგროვა. ნანა იოსელიანი 8,5 ქულით მეორე იყო, 8-8 ქულით მესამე-მეხუთე ადგილები გაიყვეს მსოფლიო ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ, ნინო გურიელმა და მარია ივანკამ (უნგრეთი). შვედი დიდოსტატი პია კრამლინგი, რომელიც ექსპერტებს პირველი ადგილის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად მიაჩნდათ, ურიგოდ არ თამაშობდა, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ მეექვსე ადგილს დასჯერდა (7,5 ქულა). ამ მომენტისათვის იგი საზღვარგარეთის № 1 მოჭადრაკე ქალად ითვლებოდა. რა თქმა უნდა, თბილისის 1984 წლის ტურნირი სამუდამოდ შევიდა ისტორიაში. ხომ ბევრი ასპარეზობა ტარდებოდა წლების განმავლობაში ქალთა შორის, განსაკუთრებით იუგოსლავიაში, უნგრეთში, პოლონეთში; წელიწადში რამდენიმე შეჯიბრებას აწყობდა საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაცია, მაგრამ მსგავსი შემადგენლობის შემოკრება ვერავინ მოახერხა.

ქალთა შორის ამ უამრავ წარმატებას ვაჟთა ტურნირების ბრწყინვალე შედეგებიც დაემატა. 1978 წელს ფრიად საყურადღებო რამ მოხდა: ნონა გაფრინდაშვილს, რომელსაც სულ ორი წლის წინათ ისტორიაში პირველად ქალთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიენიჭა, ახლა, ასევე ისტორიაში პირველად, საერთაშორისო დიდოსტატობა მიეკუთვნა ვაჟთა შორისაც. ეს, რა თქმა უნდა, საგანგებო მნიშვნელობის მოვლენა იყო. ნონამ სავსებით დაიმსახურა ეს ახალი დიდი ტრიუმფი. იგი ხომ ვაჟთა შეჯიბრებებში, შეიძლება ითქვას, ბავშვობიდანვე მონაწილეობდა და დიდ წარმატებასაც მიაღწია. 1963-64 წლებში მან ჰასტინგსის ვაჟთა მეორე, ე. წ. „ჩელენჯერტურნირში" I-II ადგილები გაიყო და მომავალი წლისთვის ჰასტინგსის პირველ, ფრიად პრესტიჟულ ტურნირში თამაშის უფლება მიიღო. ჰასტინგსის ძირითად ასპარეზობაში დებიუტმა ნონას მეხუთე საპრიზო ადგილი მოუტანა, ხოლო მისმა პარტიამ განთქმულ დიდოსტატ პაულ კერესთან (რომელიც ყაიმით დამთავრდა და „პაულ მეორეს" პირველი ადგილი დააკარგვინა) მთელი მსოფლიოს საჭადრაკო პრესა მოიარა. შვეციის ქალაქ გეტებორგში (1967-68 წლები) ნონა მესამე იყო; 1971 წელს თბილისში, ვიქტორ გოგლიძის მემორიალში IV-VI ადგილები გაიყო; 1974 წელს დორტმუნდში (გფრ) ასევე მესამე-მეოთხე ადგილები გაინაწილა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ნონას მონაწილეობა ამერიკის შეერთებული შტატების ფრიად პოპულარულ შეჯიბრებაში, რომელიც ქ. ლონ-პაინში („ეული ნაძვი") მოეწყო მეცენატ სტეიტების ხელშეწყობით. ამ ტრადიციულ ტურნირში 1977 წელს 48 დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობდა. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით მიმდინარეობდა 9 ტურად. ბრძოლაში ბევრი პირველხარისხოვანი მოჭადრაკე ჩაება. მსოფლიო ჩემპიონმა ვაჟთა ესოდენ ძლიერ შეჯიბრებაში შესანიშნავ შედეგს მიაღწია: მან 6,5 ქულით I-IV ადგილები გაიყო ოსკარ პანოსთან (არგენტინა), იური ბალაშოვსა და დრაგუტინ შახოვიჩთან (იუგოსლავია). ქართველმა მოჭადრაკემ სწორედ აქ შეასრულა ვაჟთა დიდოსტატის წოდების მოსაპოვებლად საჭირო ქულათა რაოდენობა. რა თქმა უნდა, იმასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ სამ დიდოსტატთან შედარებით კოეფიციენტების ცხრილში უკეთესი მაჩვენებლების გამო სწორედ ნონას მიენიჭა ლონ-პაინის ტურნირის პირველი პრიზი. მის თამაშზე აღფრთოვანებული აზრი გამოთქვა ამ ტურნირის მონაწილემ, საერთაშორისო ჭადრაკის ვეტერანმა, განთქმულმა დიდოსტატმა სემუელ რეშევსკიმ (აშშ), რომელსაც საშუალება ჰქონდა თვალნათლივ შეედარებინა ნონასა და მსოფლიოს პირველ ჩემპიონ ვერა მენჩიკის თამაში. რეშევსკი კარგად იცნობდა მენჩიკს, ერთადაც გამოსულან სხვადასხვა შეჯიბრებებში. რა თქმა უნდა, მენჩიკი ხშირად მონაწილეობდა ვაჟთა ასპარეზობებში, ზოგჯერ კარგი შედეგითაც, მაგრამ ისეთი მიღწევა, როგორიც ნონას ხვდა წილად ლონ-პაინში, არა ჰქონია.

მომდევნო წლებში იმ ქალთა რიცხვი, რომელთაც ვაჟთა შორის დიდოსტატთა წოდება მიენიჭათ, როგორც მოსალოდნელი იყო, სულ მცირედით გაიზარდა. 1984 წელს მაია ჩიბურდანიძე შეემატა მას, სულ ცოტა ხნის წინათ კი — ჟუჟა პოლგარი. გამოთქვამენ აზრს, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ ეს შეიძლება უმცროსმა პოლგარმა — იუდითმაც შეძლოს. თუმცა ვნახოთ, ნუ გავუსწრებთ მოვლენებს.

საჭადრაკო „ოსკარი", რომელიც ქალთა შორის პირველად ნონა გაფრინდაშვილს მიენიჭა.

დიდოსტატის წოდების მიღების შემდეგ ნონა განაგრძობდა წარმატებით თამაშს ვაჟთა საერთაშორისო ტურნირებში. იგი 1978 წელს დორტმუნდში შესანიშნავად გამოვიდა. აქ 12 დიდოსტატი და ოსტატი თამაშობდა. 8 ქულით პირველი იყო ცნობილი შვედი დიდოსტატი ულფ ანდერსონი, ნონამ კი 7,5 ქულით მეორე-მესამე ადგილები გაიყო ინგლისელ რაიმონდ კინთან და თავის მწვრთნელ აივარ გიპსლისს გაასწრო. შეიძლება 1983 წელს რეჯიო-ემილიაში (იტალია) დაკავებული პირველი ადგილის გახსენებაც, ანდა, ზოგიერთი სხვა ტურნირისაც, მაგრამ ყოველივე ეს შორს წაგვიყვანდა. ერთი ტურნირის დავიწყება კი, ვფიქრობთ, არ შეიძლება. 1987 წელს ბრიუსელში თავისებური შეჯიბრება მოეწყო. აქ ოთხი განთქმული მოჭადრაკე ქალი: ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, ჟუჟა პოლგარი და პია კრამლინგი შეხვდა (ერთმანეთთან, დებულების თანახმად, ისინი არ თამაშობდნენ) ოთხ ვაჟს, დიდოსტატებს: ერიკ ლობრონს (გფრ), მაქსიმ დლუგის (აშშ), უილიამ უოტსონსა (ინგლისი) და ლუი ვინანტს (ბელგია). შეჯიბრება ორ წრედ მიმდინარეობდა. ნონამ 8 შესაძლებლიდან 5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა, მაია ჩიბურდანიძემ 4,5 ქულით — მეორე. საინტერესოა, რომ ოთხივე ვაჟმა ოთხოთხი ქულით მესამე-მეექვსე ადგილები გაიყო; 3,5 ქულა მოაგროვა პოლგარმა და 3 — კრამლინგმა. დიდად საყურადღებო შეჯიბრებაა და საწყენია, რომ მისი მსგავსი ჩვენთან არ ეწყობა.

მას შემდეგ, რაც მსოფლიო ჩემპიონობას გამოეთხოვა, ნონას არ შეუწყვეტია პრეტენდენტთა ასპარეზობებში ბრძოლა. დიახ, ხელის ჩაქნევა და მიღწეულით დაკმაყოფილება მისთვის დამახასიათებელი არ გახლავთ.— რა ვუყოთ, რომ მსოფლიოს ახალგაზრდა ჩემპიონი ჰყავს, რა ვუყოთ, რომ პრეტენდენტთა რიგები გადახალისდა და მათ შორის ერთადერთი ვეტერანიღა დარჩა. აქვთ თუ არა ახალგაზრდებს რაიმე უპირატესობა? დეე ჯერ ეს მათ ბრძოლაში დაამტკიცონ.

როცა 1980 წელს მსოფლიო პირველობის ახალი სამწლიანი ციკლი დაიწყო, მასში ნონაც ჩაება. დიახ, მოელი 20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მან პირველად მიიღო მონაწილეობა პრეტენდენტთა ასპარეზობაში, ოღონდაც იმ განსხვავებით, რომ ადრინდელი ტურნირი ახლა მატჩებით შეიცვალა. რომელი უფრო სამართლიანია, რომელი იძლევა უფრო ობიექტურ შედეგს? ვინ იცის, ორივეს თავისი მომხრეები ჰყავს. საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია, იმისდა მიხედვით, თუ რას მოითხოვს პრეტენდენტთა უმრავლესობა. ხან ერთ ფორმას ანიჭებს უპირატესობას და ხან მეორეს. ნონა გაფრინდაშვილის პირველი მეტოქე, პრეტენდენტთა მეოთხედფინალურ მატჩში ახალგაზრდა, ნიჭიერი, დიდად ენერგიული ნინო გურიელი იყო, მაგრამ მან ვერ შეძლო ექსჩემპიონისათვის შესაფერი წინააღმდეგობის გაწევა. ნონამ გაიმარჯვა (6:3) და ნახევარფინალში „ახალი ტალღის" კიდევ ერთ წარმომადგენელს, ნანა იოსელიანს შეხვდა. აქაც, დებულების თანახმად, 10 პარტია უნდა გათამაშებულიყო, მაგრამ, თუ წინა ორთაბრძოლაში ცხრაც საკმარისი გახდა გამარჯვებულის გამოსავლენად, აქ ყაიმი აღინიშნა — 5:5. დაინიშნა ჯერ ორი დამატებითი პარტია — წონასწორობა არ დარღვეულა. ვერაფერი გაარკვია კიდევ ორმა დამატებითმა შეხვედრამ — აქაც ყაიმი აღინიშნა — 7:7, მაშინ ასე განსაჯეს — ფინალში იოსელიანი გავიდეს, რომელმაც მეტი პარტია მოიგო შავებით.

ყველაფერი თავიდან უნდა დაწყებულიყო? რა ვუყოთ, მერე! ჭადრაკში ხომ ყველაფერი ხდება. ნონამაც პირველად ითამაშა საზონათშორისო ტურნირში (1982 წელი, ბად-კისინგენი) და 15 შესაძლებლიდან 12 ქულით დამაჯერებლად დაიკავა პირველი ადგილი. 1983 წელს იგი პრეტენდენტთა მეოთხედფინალურ მატჩში ლენინგრადელ ირინე ლევიტინას შეხვდა, რომელთანაც ადრინდელ შეხვედრებში აშკარა უპირატესობა ჰქონდა. ამჯერად, ლვოვში ბედმა ლევიტინას გაუღიმა (6:4). ეს მართლაც მეტად თავისებური მატჩი იყო — ათი პარტიიდან არც ერთი ყაიმით არ დამთავრებულა. უკომპრომისო ბრძოლაც ამას ჰქვია!

წლები წლებს მისდევს. ნონა იმარჯვებს საზონათშორისო ტურნირებში, თამაშობს პრეტენდენტთა ასპარეზობებში. ჩნდებიან ახალ-ახალი სახელები, ვეტერანები თავს ანებებენ თამაშს, ეს ალა კუშნირმა ჯერ კიდევ 1978 წელს გააკეთა, ეტყობა, საბოლოოდ დაყარეს ფარხმალი ძველმა პრეტენდენტებმა ირინე ლევიტინამ და ელენე ახმილოვსკაიამ. ზოგისთვის ჯებირი 30 წელი აღმოჩნდა, ზოგისთვის — 40. დადგა იმ მოჭადრაკეების დრო, რომელთაც 20 წლისთვისაც კი არ მიუღწევიათ. ბრწყინვალედ თამაშობენ დები პოლგარები, მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა რიცხვს მიეკუთვნებიან ქეთევან არახამია და ქეთევან კახიანი. ერთი სიტყვით, ქალ მოჭადრაკეთა ელიტაში ყველაფერი შეიცვალა, გარდა ერთისა, „მუდმივი" ნონა გაფრინდაშვილის „მუდმივი მიღწევებისა." ხომ ბრწყინვალე ნიჭით არის დაჯილდოებული იუდით პოლგარი, ხომ ძალიან ძლიერად თამაშობს! ახლა ვნახოთ მისი პარტია ნონა გაფრინდაშვილთან, უკანასკნელ, შარშანდელ ოლიმპიადაზე ნოვი სადში. ვინ უფრო ახალგაზრდულად და შემართებით თამაშობდა, 14 წლის პოლგარი თუ 49 წლის ნონა? რა თქმა უნდა, ვისაც ეს პარტია არ უნახავს, სასწრაფოდ უნდა გაეცნოს მას და გვჯერა, დიდ ესთეტიკურ სიამოვნებასაც მიიღებს.

ეს მიმოხილვა-გახსენება მხოლოდ ერთი მიზნით იყო დაწერილი — თვალი გადაგვევლო ნონას ბრძოლისათვის მსოფლიო პირველობაზე, მაშინაც, როცა პრეტენდენტი გახლდათ და შემდეგ, როცა უმაღლეს წოდებას ფლობდა. ვფიქრობთ, ამ წერილს გაგრძელებაც ექნება — ნონა ხომ ჯერ კიდევ განაგრძობს თამაშს.

ზიპი ბამრეკელი

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო" №№ 72, 76, 78.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

შეხვედრები გადატანილია

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან გვაცნობეს, რომ საქართველოში დატრიალებული სტიქიური უბედურების გამო, ეროვნული ჩემპიონატის IX და X ტურების მატჩები, რომლებიც 1 და 5 მაისს უნდა გამართულიყო. გადატანილია. შეხვედრების ჩატარების თარიღს დამატებით გაცნობებთ.

1 ჯგუფი

ფიზკ. ინსტ. (თბილისი) — „არმაზი“ (მცხეთა) 3:2. მსაჯი ნ. კილაძე (თბილისი). გოლები: ჰანკოტაძე, ივანიშვილი-2 (ფიზკ.ინსტ.), სოლოღაშვილი-2, („არმაზი“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს თ. დემეტრაშვილი („არმაზი“).

„მრეტები“ (თბილისი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 2:1. მსაჯი ლ. რაზმაძე (გორი). გოლები: ტყავაძე გოდერძიშვილი („მრეტები“), უკლება („საპოვნელა“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს გ. ქადაგიძე („საპოვნელა“).

„სიხარული-90“ (გაგრა) — „შუქურა“(ქობულეთი) 1:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი). გოლები: მოსიავა („სიხარული-90“), გოგმაჩაძე („შუქურა“).

„კახეთი“ (თელავი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 4:0. მსაჯი ლ. ჩიტაია (თბილისი). გოლები: ჭვრიტიძე, კილასონია-2, ზ. აფაქიძე („კახეთი“).

„დურუჯი“ (ყვარელი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 2:1. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი). გოლები: მექვაბიშვილი, ღვინიაშვილი („დურუჯი), მთვარაძე („ბახტრიონი“).

„ეგრისი“ (სენაკი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 0:0. მსაჯი ა. შილაკაძე (თბილისი).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს მ. ჰანტურია („ეგრისი“) და გ. ფიფია („სამეგრელო“).

„არაგვი“ (დუშეთი) — „სქური“ (წალენჯიხა) 3:3. მსაჯი გ. ცირდავა (გულრიფში). გოლები: წიკლაური, მიმინოშვილი, ბეჟანიშვილი („არაგვი“), აბრალავა, კვარაცხელია-2 („სქური“).

„ოკრიბა“ (ტყიბული) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 4:1. მსაჯი მ. მირცხულავა (ლანჩხუთი). გოლები: კანკია, ფანჩულიძე-2, არსენიძე („ოკრიბა“), მწყერაშვილი („ჩიხურა“).

„იმერეთი“ (ხონი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 1:0. მსაჯი ს. კვარაცხელია (ზუგდიდი). გოლი: ცინარიძე („იმერეთი“).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 2 მაისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მრეტები“ (თბილისი)	8	7	1	0	13-3	22
„ოკრიბა“ (ტყიბული)	8	5	1	2	11-5	16
„დურუჯი“ (ყვარელი)	8	5	0	3	9-4	15
„კახეთი“ (თელავი)	8	4	2	2	13-5	14
„საპოვნელა“ (თერჯოლა)	8	4	1	3	8-8	13
„შუქურა“ (ქობულეთი)	8	4	1	3	7-8	13
ფიზკ. ინსტ. (თბილისი)	8	4	0	4	10-10	12
„არაგვი“ (დუშეთი)	8	3	3	2	15-10	12
„სქური“ (წალენჯიხა)	8	3	3	2	11-10	12
„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ)	8	3	3	2	7-6	12
„ეგრისი“ (სენაკი)	8	3	3	2	7-10	12
„არმაზი“ (მცხეთა)	8	3	2	3	13-8	11
სტუ	7	3	1	3	6-8	10
„ქართლი“ (გორის რ-ნი)	8	3	0	5	8-8	9
„ბახტრიონი“ (ახმეტა)	8	2	2	4	9-12	8
„მაღაროელი“ (ჭიათურა)	8	2	1	5	6-11	7
„ჩიხურა“ (საჩხერე)	8	2	1	5	9-18	7
„იმერეთი“ (ხონი)	8	1	3	4	5-12	6
„სიხარული-90“ (გაგრა)	8	0	5	3	3-10	5
„სიონი“ (ბოლნისი)	7	0	3	4	2-9	3

არაკვალიფიციური მსაჯობისთვის დაისაჯნენ

ქუთაისში ადგილობრივი „ქუთაისისა“ და ფოთის „კოლხეთი-1913“-ის მატჩის არაკვალიფიციური მსაჯობისათვის, ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, შეხვედრის მთავარი მსაჯი ოთარ გუნთაძე და გვერდითი მსაჯი დურმიშხან მენთეშაშვილი დისკვალიფიცირებულნი არიან და ეკრძალებათ ეროვნული ჩემპიონატის მატჩების მომსახურება 1991 წლის საგაზაფხულო ჩემპიონატის ბოლომდე.

„რუსთავი“ და „ნაგუთი“ უმაღლეს ლიგაში

მინიფეხბურთში საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის „გ“ ჯგუფის გუნდებმა ამ დღეებში რუსთავში გამართეს ასპარეზობა. ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალი „ფოლადის“ სტადიონზე შედგა.

სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1. „რუსთავი“ (რუსთავი)	5	5	0	0	26-8	10
2. „ნაგუთი“ (ჭიათურა)	5	4	0	1	19-6	8
3. „ოცნება“ (ხიდისთავი)	5	3	0	2	18-24	6
4. „არგონავტები“ (ფოთი)	5	2	0	3	20-21	4
5. „ქვ. ბახვი“ (ქვ. ბახვი)	5	1	0	4	8-14	2
6. „ხიხანი“ (ბათუმი)	5	0	0	5	2-20	0

ამრიგად რუსთავის „რუსთავი“ და ჭიათურის „ნაგუთი“ უმაღლეს ლიგაში იასპარეზებენ. ხიდისთავის „ოცნებას“ და ფოთის „არგონავტებს“ კიდევ აქვთ შანსი უმაღლესი ლიგის საგზურების მოსაპოვებლად დამატებით ტურში იბრძოლონ.

რა ისმის უცხოეთიდან

● კალათბურთი

ნბა: „პლეი-ოფების“ პერიოდი

როგორც ვიუწყებოდით, ნბაას ჩემპიონატზე დაიწყო მეორე ეტაპის შეჯიბრებები. კალათბურთელთა თექვსმეტი უძლიერესი კოლექტივი, რომელიც ორ კონფერენციად დაიყო, ბრძოლას განაგრძობს „პლეი-ოფის“ სისტემით. ამ ეტაპზე მეტოქეები თამაშობენ სამ გამარჯვებამდე.

გთავაზობთ პირველი ორი ტურის შეხვედრათა შედეგებს:

აღმოსავლეთის კონფერენცია

25 აპრილი. „ჩიკაგო ბულსი“ „ნიუ-იორკ ნიკსი“ 126:85.

28 აპრილი. „ჩიკაგო ბულსი“ — „ნიუ-იორკ ნიკსი“ 89:79.

გაგაცნობთ 25 აპრილის შეხვედრის სტენოგრამას:

„ჩიკაგო“: ჯორდანი — 28 ქულა, პიპენი — 25, არმსტრონგი — 18. ჰოჯესი — 16, გრანტი — 13, კარტრაიტი — 9, პაკსონი — 4, კინგი — 4, უილიამსი — 3, პერდიუ — 2, ლივინგსტონი — 2, ჰოფსტონი —2. სულ — 126.

„ნიუ-იორკი“: ვანდევეგი — 19, ოკლი — 12, გ. უილკინსი — 9, ე. უილკინსი — 9, ტაკერი — 7, ქუინეტი — 7, იუინგი — 6, სტარკსი — 6, ჩივსი — 4, ჯეკსონი — 2, უილკერი — 2, მასტაფი — 2. სულ — 85.

ჯერჯერობით ანგარიშია 2:0 „ჩიკაგოს“ სასარგებლოდ. საბოლოო გამარჯვებისთვის „ბულსს“ კიდევ ერთი შეხვედრის მოგება სჭირდება. ყოველი შემთხვევისთვის კი სავარაუდო მატჩების კალენდარი ასეთია: 2 და 4 მაისი. „პლეი-ოფის“ ეს სერია, როგორც ცნობილია, 5 მაისისთვის უნდა დამთავრდეს.

26 აპრილი. „ბოსტონ სელტიკსი“ — „ინდიანა პეისერსი“ — 127:120.

28 აპრილი. „ინდიანა პეისერსი“ — „ბოსტონ სელტიკსი“ — 130:118.

„ბოსტონი“: ლუისი — 28, მაკჰეილი — 25, ბიორდი — 21, პერაისი — 20, შოუ — 12, ბროუნი — 10, კემბელი — 5. სმითი — 4, პანკეი — 2., კლეინი. სულ 127.

„ინდიანა“: მილერი — 24, პერსონი — 23, უილიამსი — 20, შრემფი — 15, სმითი — 11, ფლემინგი — 9, ტომპსონი — 6, ტრაილინგი — 6, სანდერსი — 6. სულ — 120.

ჯერჯერობით ანგარიშია 1:1. მომდევნო მატჩები: 1, 3 და 5 მაისი.

26 აპრილი. „ატლანტა ჰოუკსი“ — „დეტროიტ პისტონსი“ 103:98.

28 აპრილი. „დეტროიტ პისტონსი“ — „ატლანტა ჰოუკსი“ 101:88.

„ატლანტა“: უილკინსი — 32, უები — 18, ბატლი — 16, რივერსი — 14, უილისი — 12, მელონი — 4, მენკრიფი — 4, ფერელი — 3, კონჩაკი. სულ — 103.

„დეტროიტი“: დუმარსი — 20, აგუირა — 19, როდმანი — 15, სალეი — 13, თომასი — 11, ბედფორდი — 7, ლაიმბრი — 7, ჯონსონი — 4, ედვარდსი — 2, ჰენდერსონი. სულ — 98.

ანგარიში — 1:1. მომდევნო შეხვედრები 2 და 5 მაისს დამთავრდება.

25 აპრილი. „ფილადელფია — 76“ — „მილუოკი-ბაქსი“ 95:90.

27 აპრილი. „ფილადელფია-76“ — „მილუოკი ბაქსი“ 116:112.

„ფილადელფია-76“: ჰოუკინსი — 25, ბარკლეი — 19, ჯილიამი — 17, გრინი — 16, მაჰორნი — 12, ანდერსონი — 4, ტერნერი — 2, ოლივერი, ბოლი, რეიდი, უილიამსი. სულ — 95.

„მილუოკი“: ბრიკოვსკი — 22, რობერტსონი — 14, ჰენსონი — 12, რობერტსი — 12, ჰამფრისი — 11, შეიესი — 5, სიკმა — 4, ლოჰაუსი — 4, გრეიერი — 3, დენტლი — 3, კრისტკოვიაკი — 0. სულ — 90.

ანგარიში — 2:0 „ფილადელფია-76“-ის სასარგებლოდ. მომდევნო შეხვედრები: 4 მაისს დამთავრდება.

დასავლეთის კონფერენცია

26 აპრილი. „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი“ — „სიეტლ სუპერსონიკი“ 110:102.

28 აპრილი. „პორტლენდ ტრეის ბლეიზერსი“ — „სიეტლ სუპერსონიკი“ 115:106.

„პორტლენდი“: დრექსლერი — 39, კერსი — 31, დუკვორტი — 12, უილიამსი — 10, პორტერი — 7, იანგი — 6, რობინსონი — 3, დევისი — 2, ბრაიანტი, იუნგი, სულ 110.

„სიეტლი“: ჯონსონი — 33, პაიერსი — 17, ტრეიტი — 15. ბენჯამენი — 12, კემპი — 10, რაიტონი — 6, მაკკეი — 6, კეიჯი —2, მაკმილანი — 1, ბაროსი — 0. სულ — 102.

ანგარიში — 2:0 „პორტლენდის“ სასარგებლოდ. დარჩენილი შეხვედრები: 30 აპრილს, 2 და 4 მაისს.

25 აპრილი. „სან ანტონიო სპურსი“ — „გოლდენ სტეიტ უორიორსი“ 130:121.

27 აპრილი. „გოლდენ სტეიტ უორიორსი“ — „სან ანტონიო სპურსი“ 111:98.

„სან ანტონიო“: ანდერსონი — 38, რობინსონი— 30, სტრიკლენდი — 30, ელიოტი — 11, კანინგსი — 9, პრესი — 8, გრინვუდი 2, გრინი —2, ჯონსონი, ს. ჰიგინსი, მესენბურგი. სულ — 130.

„გოლდენ სტეიტი“: მალინი — 29, რიჩმონდი — 29, ჰარლეუეი —19, მარჩიულიონისი — 18, ელი — 15, რ. ჰიგინსი — 7, ესკიუ — 4, ლისტერი, პეტერსენი, ჰილი, ტილბერტი. სულ — 121.

ანგარიში — 1:1. დარჩენილი შეხვედრები: 1, 3 და 5 მაისს.

25 აპრილი. „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“ — „ჰიუსტონ როკეტსი“ 94:92.

27 აპრილი. „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“ — „ჰიუსტონ როკეტსი“ 109:98.

ანგარიში — 2:0 „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“ სასარგებლოდ. დარჩენილი შეხვედრები: 30 აპრილს, 2 და 5 მაისს.

25 აპრილი. „იუტა ჯაზი“ — „ფენიქს სანი“ 129:90.

27 აპრილი. „ფენიქს სანი“ — „იუტა ჯაზი“ 102:92.

ანგარიში — 1:1. დარჩენილი შეხვედრები: 4 მაისს დამთავრდება.

• • •

● ფეხბურთი

გაიმართა ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი მატჩები.

ესპანეთი

ლიდერებს გაუჭირდათ

32-ე ტური გათამაშების ლიდერებს ცუდად დაამახსოვრდებათ, თუმცა სატურნირო ცხრილის სულ ზედა ნაწილში ცვლილებები არ მომხდარა. ცუდად დაამახსოვრდებათო ვამბობთ იმიტომ, რომ „ბარსელონამ“ და „ოსასუნამ“ მორიგი შეხვედრები ფრედ დაამთავრეს და მაშასადამე თითო ქულა დაკარგეს, მადრიდის „ათლეტიკო“ კი დამარცხდა.

გთავაზობთ ტურის შედეგებს:

„მალიორკა“ — „ბარსელონა“ 1 : 1
„რეალი“ (მადრიდი) — „ვალიადოლიდი“ 1:0.
„სარაგოსა“ — „ათლეტიკო“ (მადრიდი) 1 : 0
„კადისი“ — „სპორტინგი“ 1:1
„ოვიედო“ — „ტენერიფე“ 3 : 1
„სან-სებასტიანი“ — „ოსასუნა“ 1 : 1
„სევილია“ — „კასტელონი“ 3 : 0
„ლოგრონიესი“ — „ათლეტიკო“ (ბილბაო) 1 : 1
„ვალენსია“ — „ბურგოსი“ 0 : 1
„ესპანიოლი“ — „ბეტისი“ 2 : 2

გათამაშების ცხრილი

	მ.	ფ.	წ.	ქ.
„ბარსელონა“	23	6	3	52
„ათლეტ.“ (მადრიდი)	16	12	4	44
„ოსასუნა“	13	12	7	38
„სპორტინგი“	12	11	9	35
„ოვიედო“	11	13	8	35
„რეალი“ (მადრიდი)	15	5	12	35
„სევილია“	14	6	12	34
„ლოგრონიესი“	12	9	11	33
„ვალენსია“	12	8	12	32
„ტენერიფე“	13	5	14	31
„ბურგოსი“	9	13	10	31
„ათლეტ.“ (ბილბაო)	13	5	14	31
„სან-სებასტიანი“	9	12	11	30
„ვალიადოლიდი“	9	12	11	30
„ესპანიოლი“	10	9	13	29
„მალიორკა“	8	11	13	27
„სარაგოსა“	9	9	14	27
„კასტელონი“	7	10	15	24
„კადისი“	4	13	15	21
„ბეტისი“	6	9	17	21

დანია

ააბ — ბ 1903 4 : 1, „ფრემი“ — „იკასტი“ 1 : 0, „ვეილე“ — აგფ 1:1, „სილკებორგი“ — „ბრონდბიუ“ — 1 : 0, ლუნგბიუ — ობ 1 : 0.

ჰოლანდია

რკს — „აიაქსი“ 1:1, „ფეიენორდი“ — „გრონინგენი“ 2 : 0, „ვოლენდამი“ — „ტვენტე“ 3 : 1, „უტრეხტი“ — „ფორტუნა“ 2 : 0, „ეინდჰოვენი“ — სვვ 3 : 2, „ჰერენვენი“ — „სპარტა“ 2:1, ნეკ — „ვილემ II“ 0 : 2, „როდა“ — „დენ ჰააგი“ 5 : 1, მვვ — „ვიტესი“ 2 : 0.

საფრანგეთი

თასის გათამაშება. მეხუთე წრე. „აიაჩო“ — „კანი“ 0 : 1, „ტური“ — „გენიონი“ 0 : 1, „ტულონი“ — „მონაკო“ 2 : 3, „ანესი“ — „როდეზი“ 0 : 2, „ნიორი“ — „ლავალი“ 2 : 1, „ბრესტი“ — „ნანტი“ 1 : 2, „სოშო“ — „ოსერი“ 1 : 1.

საბერძნეთი

„იონიკოსი“ — „ქსანტი“ 1 : 1, ოფი — „ოლიმპიაკოსი“ 0 : 0, „ლარისა“ — „პანსერაიკოსი“ 4 : 2, „პანათინაიკოსი“ — „ლევადიაკოსი“ 4 : 0, „პანიონისი“ — „ათინაიკოსი“ 2 : 0, აეკ — პაოკ 0 : 0, „ჰერაკლისი“ — „პანაჰაიკი“ 1 : 0, „დოქსა“ — „აპოლონი“ 3 : 0, „იანინა“ — „არისი“ 0 : 0.

უნგრეთი

„სიოფოკი“ — „დებრეცენი“ 2 : 1, ვაკ — „ბეკეჩაბა“ 0 : 0, „ვაშაში“ — „სეგედი“ 1 : 1, „პეჩი“ — „ტატაბანია“ 1 : 0, მტკ — „ფერენცვაროში“ 1 : 0, „ჰონვედი“ — უტე 1 : 0, „რაბა ეტო“ — „ვოლანი“ 1 : 1, „ვიდეოტონი“ — „ვესპრემი“ 1 : 0.

ნორვეგია

„ბრანი“ — „ლილესტრიომი“ 1 : 2, „როსენბორგი“ — „ტრომბიო“ 1 : 1, „კონგსვინგერი“ — „ფილინგენი“ 0 : 0, „ლინი“ — „მოლდე“ 2 : 0, „ვაკინგი“ — სტრიუმგოდსეტი“ 5 : 2, „სიონდალი“ — „სტარტი“ 1 : 0.

რუმინეთი

„ფარული“ — „უნივერსიტატია“ 1 : 2, „გლორია“ — „ბიჰორი“ 3 : 1, „კლუჟი“ — „პროგრესული“ 0 : 1, „ბრაშოვი“ — „პეტროლული“ 1 : 0, „რაპიდი“ — „სტიაუა“ 0:2, „დინამო“ — „სპორტული“ 0 : 0, „პოლიტექნიკა“ — „ინტერი“ 2 : 1, „ჟიული“ — „არჯესი“ 2 : 2, „ჰაკაუ“ — „კორვინული“ 2 : 0.

იუგოსლავია

„ცრვენა ზვეზდა“ — „პარტიზანი“ 3 : 1, „ჰაიდუკი“ — „დინამო“ 1 : 2, „სლობოდა“ — „ზემანი“ 1 : 1, „პროლეტერი“ — „რიეკა“ 2 : 1, „ვოივოდინა“ — „ოლიმპია“ 4 : 3, „რადი“ — „ბორაცი“ 1 : 0, „ჟელეზნიჩარი“ — „ბუდუჩნოსტი“. 0 : 0, „რადნიჩკი“ — „ვილეჟი“ 4 : 2, „სარაევო“ — „ოსიეკი“ 2 : 0.

აღმოსავლური ორთაბრძოლების ახალი ფედერაცია

ოკინავა გოჯუ-რიუ კარატე-დო. ეს გახლავთ ერთ-ერთი სტილი აღმოსავლური ორთაბრძოლებისა, რომელსაც მიმდევრები საქართველოშიც ჰყავს და სწორედ მათი მონდომებით შეიქმნა კარატეს ამ სტილის ახალი ფედერაცია ჩვენს რესპუბლიკაში.

ფედერაციის დამფუძნებელი კრება ამ დღეებში გაიმართა თბილისში, კარატის კლუბ „ავაზას“ ბაზაზე. დამტკიცდა ფედერაციის წესდება. პრეზიდენტად აირჩიეს ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი პაატა ჭელიძე, ვიცე-პრეზიდენტად — ოთარ გრძელიშვილი.

ტურნირები და შედეგები

● ტოკიო. მსოფლიო ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში ზედიზედ მეორედ მოიგო შვეციის ნაკრებმა, რომელმაც ფინალში იუგოსლავიის გუნდი დაამარცხა 3:2. მსოფლიო ჩემპიონის ღირსებას იცავდნენ: მიქაელ აპელგრენი, იან-უვე ვალდნერი. იორგენ პერსონი. მესამე ადგილი ჩეხოსლოვაკიის გუნდს ხვდა, მეოთხე — ბელგიის ნაკრებს. დღეს 2 მაისს დაიწყება პირადი ტურნირი.

● მონტე-კარლო. მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელს, გერმანელ ბორის ბეკერს აშკარად უჭირს თამაში მიწის კორტებზე. აი ახლაც, ამ ქალაქის ღია ჩემპიონატის ფინალში (საპრიზო ფონდი 1 მილიონი დოლარი) იგი დამარცხდა სერჟ ბრუგეიროსთან (7:5, 4:6, 6:7, 6:7), რომელიც „ნელი კორტების“ სპეციალისტად ითვლება. ესპანელმა პრიზის სახით დაიმსახურა 125 ათასი დოლარი.

● ჰამბურგი. აქ მიმდინარე ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 350 ათასი დოლარი) მეორე წრეში ყველაზე ადრე გავიდა შეჯიბრების მასპინძელი შტეფი გრაფი.

● მიუნხენი. ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 250 ათასი დოლარი) პირველ წრეში გაიმარჯვეს კრისტიან ბერგსტრიომმა (შვეცია), უდო რიგლევსკიმ (გერმანია) და მაგნუს გუსტაფსონმა (შვეცია).

● კოპენჰაგენი. როგორც ცნობილია, 1992 წელს ბარსელონაში ბადმინტონის ოლიმპიური დებიუტი შედგება. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობს ქვეყნების სარეკორდო რაოდენობა 42. შეგახსენებთ, რომ ორი წლის წინ ჯაკარტაში ანალოგიურ შეჯიბრებაში 35 ქვეყნის წარმომადგენლები გამოდიოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახდება ზაურ ცხადაძე მილიონერი?

(დასასრული)

გია გვიჩიანი

ლერი სალლიანი


ჯიმი მერაბიშვილი


ზაზა გუგენიშვილი

ზაურ ცხადაძე

ეხილათ მსოფლიოში სახელგანთქმული, უძლიერესი ამერიკელი, კანადელი, გერმანელი მკლავჭიდელები.

მაგრამ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში 27-28 აპრილს თავმოყრილ მაყურებელთა რაოდენობა გვაძლევს საფუძველს განვაცხადოთ: საქართველოს ღია ჩემპიონატი საკმაოდ მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარდა, მონაწილეებიც და გულშემატკივრებიც კმაყოფილები დარჩნენ. რაც მთავარია, ყველაფერი გაკეთდა საიმისოდ, რომ ხალხს კიდევ ერთხელ ერწმუნა — მკლავჭიდის მსგავს ვაჟკაცურ სპორტის სახეობას ძნელად თუ მოძებნის კაცი.

ყველასთვის მოულოდნელად 300-მდე მონაწილე გამოცხადდა ტურნირზე. მკლავჭიდის საერთაშორისო ფედერაციის წესდების თანახმად, ცალკე ჩატარდა ცაცია მკლავჭიდელთა შეჯიბრება. იგი „მემარჯვენეთა" ტურნირზე ადრე დასრულდა. ამიტომ ჯერ მასზე შევჩერდეთ.

მსუბუქ წონაში (58 კგ) მესტიელ გია გვიჩიანს დღეს საქართველოში უძლიერესი მარჯვენა აქვს, მაგრამ მან ცაციებშიც სცადა ბედი და წარმატებითაც. მართალია, პირველი ადგილი დაძაბული ფინალური ორთაბრძოლის შემდეგ გორელ რამაზ მებადურს დაუთმო, მაგრამ II ადგილი, როცა ნაკლებად გამოცდილი ხელით ასპარეზობ, დიდი მიღწევაა.

68 კგ-ში შედარებით უცნობმა ათლეტებმა შეძლეს წარმატების მოპოვება. მამუკა სოფაძეს (ქუთაისი) არ გასჭირვებია გოჩა ელოშვილის (თბილისი) დამარცხება.

80 კგ. აქ დასაწყისიდანვე იმდენად აშკარა იყო საჩხერელ კობა თოდაძის უპირატესობა დანარჩენ მეტოქეებზე, რომ თავიდანვე გამოირიცხა მოულოდნელობა: კობამ თითქმის ყველა მეტოქე იოლად ჩამოიცილა, მათ შორის ფინალური მოწინააღმდეგე მესტიელი მამუკა ილდანი და ჩემპიონობა მოიპოვა. 90 კილოგრამში მოასპარეზე ერეკლე გურჩიანზე ქვემოთ არაერთხელ შევჩერდებით, ამიტომ მოკლედ გეტყვით: სვანების „კერპმა" დაუმარცხებლად განვლო გზა ფინალამდე და მხოლოდ გადამწყვეტ ბრძოლაში დათმო შეხვედრა ახმეტელ გიგლა არაბულთან, რომელმაც მართლაც დიდებულად იასპარეზა.

დაბოლოს, მძიმეწონოსნები: სოფრომ სანთელაძე (ამბროლაური) და თამაზ კურკუმული (ყაზბეგი) „მემარჯვენეებშიც" ფავორიტებად ითვლებოდნენ, თუმცა თავი არც მეორე ხელით მორკინალებში შეურცხვენიათ და ფინალში სწორედ ეს ორი ათლეტი წარდგა ერთმანეთის პირისპირ. სანთელაძემ შეძლო კურკუმულის დამარცხება და ამით დასრულდა ცაციებში წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონების გამოვლენა.

მთავარი კი წინ იყო. ალბათ, სპორტის არც ერთ სახეობაში შეჯიბრებისას არ წააწყდებით ისეთ ვნებათაღელვას, როგორიც მკლავჭიდელთა ასპარეზობისას შეიძლება იხილოთ. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ ერეკლე გურჩიანისა და ზაზა გუგენიშვილის ფინალური შეჭიდებისას თითქმის 2 წუთის განმავლობაში იყო გადაჭდობილი ორი დაკუნთული მარჯვენა, ხან ერთი მიუახლოვდებოდა ფიქსატორს, ხან მეორე. ათლეტთა გულშემატკივრებიც ხელების მოძრაობის კვალობაზე გამოხატავდნენ თავიანთ ემოციებს, რომელთა დაოკება, მართლაც ძნელი იყო, ბოლოს კი... თუმცა სჯობს თანმიმდევრულად მივყვეთ მოვლენათა მსვლელობას.

გია გვიჩიანმა არც „მამარჯვენეებში" შეირცხვინა სახელი. ამ ათლეტმა იმდენი ორთაბრძოლა მოიგო დამაჯერებლად და ლამაზად, რომ თავიდანვე ფავორიტად იქცა. ერთიც იყო: გიას უზადო ტექნიკას, თვალშეუსწრებ სისწრაფესა და ღონეს დარბაზში თავმოყრილი მისი მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი უბამდა მხარს. მხარდამჭერი კი რასაც ნიშნავს სპორტსმენისათვის, ეს ყველას კარგად მოგვეხსენება. ამიტომაც იყო. გვიჩიანმა ფინალშიც იოლად სძლია თბილისელ დავით ხრიკულს, წამებში გადაუწია მარჯვენა და იმ დღეს მოგებულ ვერცხლის მედალს „ოქროც" შემატა. და, საერთოდ, მძიმე წონის გარდა, სადაც მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ზაურ ცხადაძე გამოდის, ეს, ალბათ, ერთადერთი წონითი კატეგორია იყო, სადაც ათლეტის საბოლოო წარმატებაში ეჭვი არავის შეუტანია.

მკლავჭიდი თუ ვინმეს ბუნებას მიესადაგება, უპირველესად, ალბათ, სვანისას. საქართველოში მკლავჭიდის დანერგვისთანავე აიტაცეს სპორტის ეს სახეობა სვანეთში და ლოგიკურიც იყო, რომ ჩვენს რესპუბლიკაში გამართულ პირველ ოფიციალურ შეჯიბრებაში — უნივერსიტეტის ღია ჩემპიონატზე, ერეკლე გურჩიანმა არავის დაუთმო პირველობა. არც ამჯერად, 68 კგ-ში მოასპარეზე ფინალისტთა ვინაობა იყო შემთხვევითი— სეხნიებმა ლერი სალლიანმა და ლერი გვარლიანმა უშეღავათო ბრძოლების შემდეგ მოიპოვეს გადამწყვეტ შეხვედრაში მონაწილეობის უფლება. აქ კი სალლიანის უპირატესობა აშკარა იყო. მას არ გასჭირვებია მეტოქის დამარცხება და ორიოდ წუთში ჩემპიონის ვინაობაც გაირკვა — ლერი სალლიანი, მესტია.

კობა თოდაძეზე ამბობენ: თვითონაც არ იცის, მარცხენა უფრო ძლიერი აქვს თუ მარჯვენაო. ამაში მალე დავრწმუნდით, როცა „მემარცხენეებში" ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ არაერთი მარჯვენა მოცელილივით დაანარცხა ფიქსატორს. კაცმა რომ თქვას, არც „მემარჯვენეებში" გაუკვირდებოდა ვინმეს მისი საბოლოო გამარჯვება, მაგრამ ჯიმი მერაბიშვილი, პეტალუმას (აშშ) მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე, თურმე სხვაგვარად ფიქრობდა: კობას 1 ოქროს მედალიც ეყოფაო და ამჯერად შეაჩერა მისი წინსვლა. ამ მართლაც უშეღავათო შერკინებაში ჯიმიმ შეძლო დაემტკიცებინა, რომ დღეს მართლაც ერთი უძლიერესი მარჯვენა აქვს ქართველთაგან. თუ აქვე გავიხსენებთ, რომ წინასწარ შეხვედრებში ჯიმი მერაბიშვილს დამარცხებული ჰყავდა კობა თოდაძე, მაშინ მართლა დავრწმუნდებით მისი წარმატების ლოგიკურობაში.

მკლავჭიდი მაშინ არის საინტერესო, როცა თანაბარი ძალის მეტოქენი ეჭიდებიან ერთმანეთს და სულ მცირე უპირატესობით იგებს ერთ-ერთი. აქ ბრძოლაც დიდხანს გრძელდება, სანახაობაც უჩვეულოა — მაყურებელი კმაყოფილი რჩება, რაც მთავარია, რწმუნდები, რომ მკლავჭიდი მართლაც ვაჟკაცთა სპორტია.

ის. რაც კარგი და ლაზათიანი აქვს მკლავჭიდს, შეგეძლო შეგეგრძნო ზაზა გუგენიშვილისა (თბილისი) და ერეკლე გურჩიანის ბრძოლის ხილვისას.

ამ ათლეტებს 3-ჯერ მოუხდათ ერთმანეთთან ჭიდილი. პირველი შერკინება გურჩიანის გამარჯვებით დასრულდა. გადამწყვეტი, II შეხვედრა კი, რომელსაც 90 კილოგრამში ჩემპიონის ვინაობა უნდა გაერკვია, ტურნირის რამდენიმე ათეული შეხვედრიდან ყველაზე დაძაბული გამოდგა. მაყურებელთა ვნებათა ღელვამ კულმინაციას მიაღწია. მრავალი მათგანი დარბაზში რომ ვერ გაჩერდა, სცენაზე ავიდა და იქიდან უყურებდა ასპარეზობას, რომლის დაწყებას მეტოქეთა საბრძოლო მაგიდასთან გამოცხადებიდან 10 წუთზე მეტი დასჭირდა.

მეტოქეებმა ძლივს მოახერხეს ჩაეჭიდათ მტევნები (ეს პროცედურა არც ისე იოლი შესასრულებელია, მით უმეტეს ისე, შენ რომ გინდა, რადგან შესაძლოა არასასურველ სტარტს მყისიერი დამარცხება მოჰყვეს).

ჯერ გურჩიანმა წამოიღო გუგენიშვილის მარჯვენა, შემდეგ გათანაბრდა ბრძოლა, ამ დროს გუგენიშვილმა ოდნავ მოაბოშა ხელი, მოიკრიბა ძალა, უცებ „დაიქნია" გადაუწია ხელი და გურჩიანის მარჯვენაც დაჰყვა მისი მარჯვენის ნებას. წამებიც და, ალბათ, კიდეც დაამარცხებდა მას გუგენიშვილი, მაგრამ ამ დროს ერეკლემ მოსხლიტა ხელი და გამოაცალა იგი გუგენიშვილის ხელს. საერთაშორისო წესების თანახმად კი, თუ „მოპაექრე ასხლეტს ხელს შეგნებულად, როცა იგი იმყოფება აშკარა წასაგებ პოზიციაში და მსაჯი ჩათვლის, რომ, თუ არა ეს შემთხვევა (ასხლეტა), მოპაექრე აუცილებლად წააგებდა, მოგებას ჩაუთვლის მოწინააღმდეგეს".

ამ პუნქტის აზრი და გუგენიშვილ-გურჩიანის პაექრობისას შექმნილი სიტუაცია იდენტური იყო, ამიტომ, სამართლიანად, გამარჯვება გუგენიშვილს მიენიჭა.

ზაურ ცხადაძეს, არამარტო თავის წონაში (+90 კგ), საქართველოში ჯერჯერობით არ ჰყავს ღირსეული მეტოქე. ამიტომ მის გამარჯვებას ისე შეხვდა მაყურებელი, როგორც სავსებით კანონზომიერ მოვლენას. ფინალში კი, სადაც ზაური საკმაოდ იოლად გავიდა, თამაზ კურკუმული დაამარცხა. წინა ორთაბრძოლის მსგავსად აქაც კურკუმულმა დასამარცხებელ პოზიციაში გამოაცალა ხელი მეტოქეს.

ასე დასრულდა წონით კატეგორიებში ასპარეზობა, მაგრამ წინ იყო უმთავრესი ბრძოლები: უნდა გაერკვიათ, ვის ჰქონდა საქართველოში ყველაზე ღონიერი მარჯვენა, ამის დამტკიცება კი მხოლოდ რამდენიმე მკლავჭიდელმა მოისურვა, მათ შორის ზაზა გუგენიშვილმა და ერეკლე გურჩიანმა. ამ ორი ათლეტის წინა ორთაბრძოლის მსგავსად, ამჯერადაც აივსო სცენა გულშემატკივრებით. გურჩიანის ადრინდელმა მარცხმა მეტოქესთან, მისი გულშემატკივრები დააეჭვა მსაჯების ობიექტურობაში (მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრებს 3-4, ხშირად 5 მსაჯი ემსახურებოდა). მათი დაშოშმინება იმით მოხერხდა, რომ, მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, არბიტრების გარდა შეხვედრას დაესწრო სვანეთის წარმომადგენელი, რეჟისორი და მსახიობი სოსო ჯაჭვლიანი. ყოველგვარი მოულოდნელობის თავიდან ასაცილებლად, მეტოქეებს თოკით შეუკრეს ხელის მტევნები. საბოლოოდ, ერეკლე გურჩიანმა შეძლო რევანშის აღება, თუმცა გამარჯვება ძვირად დაუჯდა — ხელი დაიზიანა.

შემდეგ შეხვედრაში თამაზ კურკუმულმა დავით ფიცხელაურს სძლია, მასაც ტრავმის ფასად დაუჯდა ეს წარმატება. ზაურ ცხადაძემ დავით გონაშვილი დაამარცხა. მოკლედ, მალე გაირკვა ფინალური წყვილიც: ცხადაძე-გურჩიანი. ეს ბრძოლა არ გამართულა — ტრავმირებულმა გურჩიანმა უარი განაცხადა შერკინებაზე. რა თქმა უნდა, მაყურებელი უკმაყოფილო დარჩა და სწორედ ამის საკომპენსაციოდ დავით ფიცხელაურმა, მაყურებელთა თხოვნით, გადაწყვიტა შესჭიდებოდა უძლიერეს მოწინააღმდეგეს. მსაჯებმა ანგარიში გაუწიეს გულშემატკივართა სურვილს და ზაურ ცხადაძემ, უკვე საქართველოს ღია ჩემპიონატის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, იოლად სძლია ფიცხელაურს.

დაბოლოს, ჩემპიონებისა და პრიზიორებისათვის დაწესებული იყო საკმაოდ სოლიდური პრიზები, რაც უთუოდ საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის ხელმძღვანელთა დიდი დამსახურებაა. თვალსაჩინოებისათვის აღვნიშნავთ, რომ ტურნირის აბსოლუტურ ჩემპიონს ზაურ ცხადაძეს, წონით კატეგორიაში გამარჯვებისთვის მიღებული პრიზების გარდა, როგორც აბსოლუტურ პირველობაში გამარჯვებულს, გადაეცა 6000 მანეთი (5000 მანეთი დააწესა კონცერნ „საქკურორტის" ფირმა „გორამ", 1000 მანეთი — საქართველოს სახალხო ფრონტმა), საკმაოდ ძვირადღირებული თასი და საქართველოს სპორტის დეპარტამენტის მიერ გამოყოფილი პრიზები. დეპარტამენტმა ამ ტურნირისთვის არაერთი ჯილდო დააწესა, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა.

მაშ ასე, დასრულდა კიდევ ერთი საინტერესო ასარეზობა. მისი შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება საქართველოს მკლავჭიდელთა ნაკრები — იგი სულ მალე, ალბათ, მონაწილეობას მიიღებს ევროპის პირველობაში, რომელიც ციურიხში გაიმართება, მანამდე კი, ვნახოთ, რით გაგვახარებს მკლავჭიდის რესპუბლიკური ფედერაცია.

ლევან ჯავახიშვილი

რამაზ
მებადური

მამუკა
სოფაძე

კობა
თოდაძე

გიგლა
არაბული

სოფრომ
სანთელაძე

ტექნიკური შედეგები

მარჯვენა ხელით მოასპარეზე მკლავჭიდელები: **59 კგ:** 1. გია გვიჩიანი (მესტია), 2. დავით ხრიკული, 3. იონა ტოლიაშვილი (ორივე — თბილისი). **68:** 1. ლერი სალლიანი, 2. ლერი გვარლიანი (ორივე — მესტია), 3. დავით ფიცხელაური (თბილისი). **80.** 1. ჯიმი მერაბიშვილი (თბილისი), 2. კობა თოდაძე (საჩხერე), 3. ბაჯუ სალლიანი (მესტია). **90.** 1. ზაზა გუგენიშვილი (თბილისი), 2. ერეკლე გურჩიანი (მესტია), 3. დავით გონაშვილი (გურჯაანი). **მძიმე წონა.** 1. ზაურ ცხადაძე (ზესტაფონი), 2. თამაზ კურკუმული (ყაზბეგი), 3. სოფრომ სანთელაძე (ამბროლაური).

მარცხენა ხელით მოასპარეზე მკლავჭიდელები: 59 კგ: 1. რამაზ მებადური (გორი), 2. გია გვიჩიანი (მესტია), 3. მინდია ფეზუაშვილი (თბილისი). **68:** 1. მამუკა სოფაძე (ქუთაისი); 2. გოჩა ელოშვილი, 3. გია ჩირალიშვილი (ორივე — თბილისი). **80.** 1. კობა თოდაძე (საჩხერე), 2. მამუკა ილდანი (მესტია), 3. გოჩა ძაგანაშვილი (თბილისი). **90.** 1. გიგლა არაბული (ახმეტა), 2. ერეკლე გურჩიანი (მესტია), 3. ხვიჩა ქობალია (ზუგდიდი). **მძიმე წონა:** 1. სოფრომ სანთელაძე (ამბროლაური), 2. თამაზ კურკუმული (ყაზბეგი), 3. თენგიზ ამირიძე (გორი).

აბსოლუტური. 1. ზაურ ცხადაძე, 2. ერეკლე გურჩიანი.

70 მილიონი დოლარი

აშშ-ის მთავრობამ გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომელშიც ლაპარაკია ამ ქვეყნის ნაკრების 1992 წლის ოლიმპიადისათვის მზადების შესახებ. ოლიმპიადების მზადებისთვის გამოყოფილია სოლიდური თანხა 70 მილიონი დოლარის ოდენობით.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი და გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობენ საქართველოს ალპინიზმის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილეს გივი ქართველიშვილს მამის

ირაკლი მიხეილის ძე ქართველიშვილის

გარდაცვალების გამო.

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ბურდული, კორექტორები: ქ. ქავთარაძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
ხამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა.
380096, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, სოზარაულის, 29.
რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია.
შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20